საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აგიდელა

აგიდელა, ა გ ი დ ე ლ ი , ძვ. ქართული ხალხური შრომის სიმღერა.

გავრცელებული იყო დას. საქართველოში (გურიასა და იმერეთში). დაკავშირებულია ყურძნის კრეფასთან. სიმღერის სახელწოდება მომდინარეობს ყურძნის საკრეფი კალათის – გიდელის სახელწოდებიდან. ა. აგებულებით წააგავს ნადურ სიმღერებს (ნელი და ჩქარი ნაწილების მონაცვლეობა). სიმღერა სამხმიანია, ეყრდნობა მრავალხმიანობის პოლიფონიურ და ოსტინატურ ტიპებს.

ი. ჟორდანია